დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათის გარდა

რედაქცია

გაღლეგინის ბრილიანტქუჩა თ. ივ. მუხრანის ახლოს ახალ-ბაზრის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებისა“ რედაქციაში, ქუთაისში ჭელიძის (გერასიმეს) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

თფილის წლისა . . . 9 მან. | ნახევარ თვისა . . . 3 მან.
ქუთაისი თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ერთ ხაზზე 1 კაპ. ერთ-ორ-სამ ხაზზე ნახევარი კაპ., ოთხ-ხუთ ხაზიანი — ერთ-ორ-სამ ხაზზე 8 კაპ.

თუ ხანგრძლივი შეთანხმება, რედაქცია გაანწილებს და შეთანხმებულ ფასებზე ნაკლებად გამოგზავნილ წერილებს. დაბეჭდილ წერილს რედაქცია ფურცლად გვერდ-უბრუნებს ხელრაზს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს დასწერილ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკეულად „დროებისა“ ფასი ექვსი შაური.

მომავალ 1883 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

გამოვა იმავე პროგრამმითა ⁄ წესით, რაგვარც აქამდინ გამოდიოდა.

რედაქციას იმედი აქვს, რომ ზოგიერთ ახალი თანამშრომლებისა ⁄ სხვა ღონისძიების შემწეობით, მომავალის წლიდამ გაუმჯობესოს თავის გაზეთი ⁄ ისეთი ცვლილება შემოიღოს იმის გამოცემაში, რომლისთვისაც მკითხველნი კმაყოფილნი დარჩებიან.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების“ რედაქციის კანტორაში, გალავნის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, ელუბის ქვემოთ.

ქუთაისში:—ჭელიძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში:—ლევ. მჭედლიშვილთან, საკუთარს სახლში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ Въ редакцію „Дроэба“.

ფასი ხელის-მოწერისა:

ერთის წლით: . . . . . 9 მან. | სამის თვით . . . . . 3 „
ნახევარის წლით . . . . . 5 „ | ერთის თვით . . . . . 1 „

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი თფილისელ ხელის-მოწერამ გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი ⁄ გვარი ⁄ საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწეროს.

რედაქტორი სერ. მესხი.
გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

ტელეგრამა

(„ნოვოეს ვრემიას“ სააგენტოსა“)

11-ს დეკემბერს.

პეტერბურღი. გამოცხადებულ იქმნა სახელმწიფო რჩევის დადგინება სამჯავრო წესდებათა შემოღებისა ვილნოს, კოვნოს, გროდნოს, მოგილევის და ვიტებსკის გუბერნიებში მომავალი 1883 წლის უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში.

ტომსკი, ციმბირის 300 წლის რუსეთთან შემოერთების სახსოვრად ტომსკის უნივერსიტეტში ირკუტსკის ქალაქის რჩევამ დაუფუძნა 5 სტიპენდია და ქალაქის თავმა, ციბულსკიმაც ერთი.

«დროების» ფელეტონი, 14 დეკემ.

მიწერ-მოწერა

ტფილისი, 1 დეკემბერს.

ძვირფასო დიმიტრი! წაიკითხე შენი ერცელი საუბარი „პლანზედ“, რომელიც შენთვის მოუციათ ვალდებულ-სახელმძღვანელოდ. მწერ, თუ შენი და საზოგადო აზრი მომწერე ამ საგანზედო. შენდა გითხრა, რომ შენი სიტყვებით თვით ჭეშმარიტება ღაღადებდა. ამ საგანზე მთელი ლიტერატურა არის შემდგარი. ბევრჯელ, ათას ნაირად და ათას გვარ ძრიელ პატივცემულ გვამთაც ჰქონიათ სჯა, და ყველამ ერთი და იგივე დასკვნა გამოიყვანა...

აი ასეთია ჩვენი მდგომარეობა. საკვირველია, ღმერთმანი, რომ ზოგიერთნი ჩვენში ამისთანა თვალ-საჩინო მაგალითების შემდეგ კიდევ, ქადაგებენ სამჯავროებში და სხვა ალაგებში სამშობლო ენის შეტანაზედ; ამტკიცებენ, რომ ეს სასარგებლო იქმნებაო და რომ ვითხოვოთ, ვინ არ აგვისრულებს ამასაო.

მარტო ჩვენ არა ვართ ჯერ მთელი დედა-მიწის ზურგზედ და მერიდი რუსეთის საიმპერიოში ამ ნაირ განსაკუთრებულ მდგომარეობაში ჩაყენებულნი. პოლშასაც, რომ თავი დავანებოთ, რომელსაც ბევრი საუბარი აქვ. ბევრსაც თხოულობს, ავიღოთ თუნდა უკრაინა ანუ მალოროსია. ეს ხალხი, ყველამ ვიცით, რომ ნამდვილი რუსები არიან, მაგრამ აქაო და ცოტა ენა განსხვავებული გვაქვს საზოგადო რუსულ „ჩრდილ. გერმან. გაზ.“ ამბობს, რომ გერმანიისა, ავსტრიის და რუსეთის შუა დამოკიდებულება დამკვიდრებულია თვით ისტორიით და იმდენად მტკიცეა, რომ მას ვერ შეარყევს გაზეთის ხმებიო.

პარიზი. სამხედრო მინისტრმა შეიტანა პალატაში ბრალქტი ახალი თავისუფალი ბატალიონის შედგენის თაობაზედ 16-20 წლის ყმაწვილ-კაცებისაგან.

კეტერბურღი. სკობინის ბანკის ნადირექტორადი რიკოვი დათხოვნილ იქმნა, სკობინის რეალურ სასწავლებლის მზრუნველობისაგან.

პეტერბურღის ფრანტუზ. გაზეთს სასიამოვნოდ მიაჩნია, რომ ვენის გაზეთები სცდილობენ გაამტყუნონ ერთი ⁄ პლიციის გაზეთისაგან გავრცელებული ხმები რუსეთის ომისათვის მზადებაზედ.

12 დეკემბერს.

ვენა. ვენის ოფიციალური გაზეთის სიტყვით, როგორც რუსეთს ისე ავსტრიას და გერმანიას ჭსურთ მშვიდობიანობა დაცული იქმნეს მათ შორის; განხეთქილება ამ სამ იმპერიათა შორის დიდს ვნებას მოუტანს პოლშას და არავითარ სარგებლობასა.

მეორე ვენისავე ოფიციალური გაზეთი სწერს, რომ გირსი 22 იანვრამდის მიგა პეტერბურგშიო. აქედამ გამოჭვავს გაზეთს, რომ ამიერ დამყარებულია მშვიდობიანობა.

რომი, ობერდანკის სიკვდილით დასჯის ამბავი რომ გავრცელდა აქ, ბევრ ქალაქებში იტალიისა მოხდა ავსტრიის წინააღმდეგი დემონსტრაციები. რომში ჯარი შეიქმნა საჭირო აღელვებული ხალხის დასამშვიდებლად.

პარიზი, კრანტიკინის დატუსაღებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ეენეგელ ემიგრანტებზედ; ისინი დახმარებას სთხოვენ უკიდურეს მარცხენა მხრის დეპუტატთა და ამტკიცებენ, რომ კრანტიკინი მხოლოდ რუსეთის წუობილების წინააღმდეგ მოქმედებდაო. მაგრამ ჩვენებიდამ აღმოჩნდა, რომ კრანტიკინმა გამართა ანარქიული მოძრაობა საფრანგეთში.

მონსო-ლე-მინის ანარქიულ მოძრაობაში მონაწილეობის მიმღებთაგანთ ცხრას 5 წლის სატუსაღო გადაუწყვიტეს, 14 კი გაამართლეს.

პეტერბურღი. გაზ. „ჭეროლდის“ სიტყვით; ახალი წესდება უნივერსიტეტისა წარდგენილა სახელმწიფო რჩევაში.

ბათუმის ამბები

(დასასრული *)

„3) ბათუმის მაზრის უფროსი პოლკოვნიკი ტერ-სტეფანოვი ამავე დროს ადგილობრივ ცხენოსან მილიციის უფროსიც არის. ეს მილიცია შესდგება სულ 100—125 კაცისაგან, რომელთაგან თითოეულს თვეში 25 მან. ეძლევა. ბ. ტერ-სტეფანოვს 125 კაცის მაგიერ ამ რიცხვის ნახევრის მეტი თითქმის არასოდეს არა ჰყავს თავის მილიციაში და დანარჩენის ჯამაგირი კი სად მიაქვს, იქნება თქვენ მიხვდეთ, თორემ მე არ ვიცი... ბ. გუბერნატორს აცნობეს ეს ამბავი; ამის შესახებ ქაროულ გაზეთს „დროებაში“ (აგვისტოს ერთს №-ში) იყო ეს დაბეჭდილი *).

*) ის. „დროება“, № 260.

*) ორი დღის შემდეგ ამ სტატიის დაბეჭდვისა არც ერთი ნომერი გაზეთის „დროებისა“ აღარ იბოვებოდა, რადგან მანქანებით გაჭრა, აქაურ სასტუმროებში და ყვავსანებში.

«დროების» ფელეტონი, 14 დეკემ.

მიწერ-მოწერა

ტფილისი, 1 დეკემბერს.

ძვირფასო დიმიტრი! წაიკითხე შენი ერცელი საუბარი „პლანზედ“, რომელიც შენთვის მოუციათ ვალდებულ-სახელმძღვანელოდ. მწერ, თუ შენი და საზოგადო აზრი მომწერე ამ საგანზედო. შენდა გითხრა, რომ შენი სიტყვებით თვით ჭეშმარიტება ღაღადებდა. ამ საგანზე მთელი ლიტერატურა არის შემდგარი. ბევრჯელ, ათას ნაირად და ათას გვარ ძრიელ პატივცემულ გვამთაც ჰქონიათ სჯა, და ყველამ ერთი და იგივე დასკვნა გამოიყვანა...

აი ასეთია ჩვენი მდგომარეობა. საკვირველია, ღმერთმანი, რომ ზოგიერთნი ჩვენში ამისთანა თვალ-საჩინო მაგალითების შემდეგ კიდევ, ქადაგებენ სამჯავროებში და სხვა ალაგებში სამშობლო ენის შეტანაზედ; ამტკიცებენ, რომ ეს სასარგებლო იქმნებაო და რომ ვითხოვოთ, ვინ არ აგვისრულებს ამასაო.

მარტო ჩვენ არა ვართ ჯერ მთელი დედა-მიწის ზურგზედ და მერიდი რუსეთის საიმპერიოში ამ ნაირ განსაკუთრებულ მდგომარეობაში ჩაყენებულნი. პოლშასაც, რომ თავი დავანებოთ, რომელსაც ბევრი საუბარი აქვ. ბევრსაც თხოულობს, ავიღოთ თუნდა უკრაინა ანუ მალოროსია. ეს ხალხი, ყველამ ვიცით, რომ ნამდვილი რუსები არიან, მაგრამ აქაო და ცოტა ენა განსხვავებული გვაქვს საზოგადო რუსულ ენასთანო, თხოულობს, რომ მალოროსიული ენა იყოს აღიარებული თავისუფალ ენად, იხმარებოდეს იგი მალოროსიის სკოლებშიაც, სამჯავროდ ადგილებშიაც და ყველგან. მაზედ ხდებოდეს ყოველ გვარი მიწერ-მოწერა და სხ. ძიდე ვიმეორებ, ჩვენ თავს, სომხებს, პოლშელებს დავანებოთ თავი და ვნახოთ, როგორ უყურებს საზოგადო აზრი იმ ხალხის სურვილებს და თხოვნებს, რომელსაც ჩვენზედ გაცილებით ნაკლები საბუთი აქვს ყოველ თავის პრეტენზიებზედ.

ამ დღეებში „რუსკი ქურიერი“, აი, რას ამბობდა ხსენებულ საგანზედ:

„მალოროსიელებს ჭსურთ, სცდილობენ, რომ არც ადმინისტრაცია, არც რუსეთის საზოგადო აზრი არ ეპყრობოდნენ მტრულად, არ სდევნიდნენ, არ ავიწროვებდნენ არაფერით მათ ცდას, მოღვაწეობას მალოროსიული ლიტერატურის განვითარებაზედ და სამშობლო ენის სკოლებში შემოტანაზედ. ჩვენ რომ დავუწყოთ დევნა ამ მათ კანონიერ სურვილებს, მით, რასაკვირველია, გავიჩენთ ახალ კატეგორიას უკმაყოფილო ხალხისას, რასაკვირველია, ჩვენ ამ მოძრაობისა არ გვეშინიან, ჩავაჩუმებთ მას, მაგრამ, ნუ თუ სასურველია ამ გვარი რამის მოხდენა? უფრო კარგი არ არის, უფრო გონივრული არ არის, უფრო სამართლიანად და გუმანიურად არ მოვიქცევით, რომ მიეხედოთ და მივბაძოთ ბელგიას და მის ფლამანდიური ენის-ძიერ მოპყრობას, საფრანგეთის და მის პატივის-ცემითი მოპყრობას პროვანსალური ენის-მიერ და სხ. მერწმუნეთ, რომ ამ გვარი მოპყრობა

„4) ბათუმის უჩასტკის უფროსი ბ. ბაბუნია ჯერ კიდევ გამართლებული არ არის იმ მძიმე საქმისაგან, რომელშიაც ის გახვეულია: ინგლისელის სვინსონის მოკვლის შესახებ ფოთში, სადაც ის იმ დროს პოლიციის აფიცრად იყო.

„ალბად იმ მიზეზით, რომ საკმაო ჯამაგირი არ მეძლევაო, ამ ბაბუნიამ გამართა ყალბი პასპორტებით ვაჭრობა. აი როგორ აწარმოებდა ის ამ საქმეს: რომელიმე ოსმალოს ქვეშევრდომი, რომელსაც რუსეთში ან სამზღვარ გარეთ წასვლა ჰსურს, მიდის ბაბუნიასთან, აძლევს ფულს და იღებს იმისგან მოწმობას, რომელიმე სოფლის ბუხტარისაგან (მამასახლისისაგან) ბეჭედ-დაკრულს, რომ ეს კაცი ამა-და-ამ სოფლის მცხოვრები არის და ნება ეძლევა ამა-და-ამ ქვეყანაში წასვლისაო. ამ ყალბი ქაღალდით ეს კაცი მიდის ბათუმის მაზრის უფროსის კანცელარიაში და იღებს საჭირო მოწმობას.

„რადგან ეს მოუხერხდა ბ. ბაბუნიას, ისეთი გემო მიეცა სიყალბისა, რომ შემდეგ სხვა რამ მოიგონა კიდევ:

„ქალაქ ბათუმში, რომელიც მოგეხსენებათ, პორტო-ფრანკოა, სხვა-და-სხვა ხორაგეული შემოაქვთ (მაგ. თხილი, კაკალი, ვაშლი და სხვ.), რომლის ბაჟი უნდა გადაიხადოს პატრონმა, თუ ბათუმიდამ რუსეთში გადატანა ჰსურს. თუ ვაჭარს უნდა, რომ ეს ბაჟი თავიდამ აიცდინოს, მიდის ბ. ბაბუნიასთან, აძლევს ხელის მოსათბობს და იღებს იმისაგან მოწმობას, რომ ამა-და-ამ კაცის საქონელი ადგილობრივი ნაწარმოები არისო. ამ ნაირად, მას აქედ, რაც ბაბუნია სამსახურშია, ჩაზინამ, უეჭველია, რამდენიმე ათასი მან. დაჰკარგა. ეს მოქმედება ბ. ბაბუნიასი ადგილობრივ ღუბერნატორმა კარგად იცის.

„შარშანწინ დეკემბერში ორმა აქაურ მცხოვრებლებმა კონტრაბანდა დაიჭირეს და წარადგინეს დამოჟნაში. ფინანსის სამინისტრომ, კანონის ძალით, ოთხმოც-და-ათი მანეთი საჩუქარი დაუნიშნა ამათ და ეს ფული ბათუმის დამოჟნიდამ უნდა მიეღოთ. დამოჟნის უფროსმა ბ. ღუბერნატორს გაუგზავნა ფული, რადგან არ იცოდა—სად ცხოვრობდნენ ის კანდრაბანდის დამჭერნი. ღუბერნატორმა ფული ბათუმის მაზრის უფროსს ბ. ტერ-სტეფანოვს გაუგზავნა, ტერ-სტეფანოვმა უჩასტკის უფროსს ბ. ბაბუნიას, რომელსაც უნდა დაებარებინა ის კაცები და გარდაეცა იმათთვის საჩუქარი ფული.

„რამდენიმე ხნის შემდეგ დამოჟნას მოუვიდა ბ. ბაბუნიასაგან ქაღალდი, რომ ხსენებულ კაცებს ჩავაბარე 90 მან. და იმათგან მოცემული ხელ-წერილსაც გიგზავნითო.

„ბაღლილ მარტში დამოჟნის უფროსთან მივიდა ერთი კაცი და სთხოვა, რომ კონტრაბანდი დაეჭირე და იმის საჩუქარი, თუ შეიძლება, მიბოძეთო.

„— აკი მიგიღია საჩუქარი! აი უჩასტკის უფროსისაგან გამოგზავნილი შენი ხელ-წერილიო.

„კაცი უარს ამბობს, გროშიც არ მომიღიაო. დამოჟნის უფროსი ბაბუნიასთან გზავნის ამ კაცს. ბაბუნია გამოაგდებს იმას, არაფერი არ მომიღია შენთვის გადმოსაცემად და რა მოგცეო.

„ის კაცი ისევ დამოჟნის უფროსთან ბრუნდება, რომელიც დაუწერს იმას ქაღალდს და ღუბერნატორთან გაატანს. ღუბერნატორი ამ საქმის გამოძიებას ბ. ტერ-სტეფანოვს მიანდობს. თუმცა ამან თავისებური გამოძიება მოახდინა, ბევრიც ეცადა თავის ბაბუნიის გამართლებას, მაგრამ ბ. გუბერნატორმა მაინც გაიგო ნამდვილი გარემოება ამ საქმისა და უბრძანა ბაბუნიას, რომ ორის თვის განმავლობაში სხვა თანამდებობა მოეძებნა თავისთვის.

„ბევრი ამისთანა ფაქტების მოყვანა შემეძლო, მაგრამ ამ ჯერობით ესეც კმარა.

„სამართლიანობა და ჭეშმარიტება მოითხოვს ვთქვა, რომ ბ. ბათუმის გუბერნატორი ყველასაგან ძლიერ პატიოსან კაცად არის ცნობილი. ის არის კეთილი, ყველასთან ზრდილობიანი და აგრეთვე გასაკვირველი შრომის-მოყვარე. მაგრამ რა გამოვიდა ყველა ამ კეთილ თვისებიდამ, როდესაც ბათუმში და მთელს იმის ზხარეში არც მშვიდობიანობა ჰაუფეეს, არც სამართლიანობა და არც წესი“.

დღიური

ოთხშაბათს, 15 დეკემბერს, განახლების და შესწორების შემდეგ, ქართული დრამატიული დასის ამხანაგობა წარმოადგენს სამ მოქმედებიან კომედიას ბ. ბ. ნ. სუნდუკიანცისა „ბებოს“.

ეს წარმოდგენა მით უფრო საინტერესოა, რომ ზოგი ერთი უპირატესი როლები, როგორც მაგალითად პეპოს როლი, რომელსაც ასრულებს ბ. ციფიანი, ბიქოს—ბ. ჯორჯაძე და სხვა, შეცვლილებია მოთამაშეთ შორის. ამას გარდა ახლად გამოვლენ ქ. ლეჟავა—ქეკეს როლში და ახალი დებიუტანტი თავ. ბიორ. აბაშიძე პირველად ქაკულის როლში. დანარჩენი მოთამაშენი, როგორც ბ. აბაშიძე, ქ. საფაროვისა, ბაბუნია და სხვა თავთავიანთ როლებში გამოვლენ.

დასაბოლოებლად წარმოდგენილი იქნება ოპერეტკა სიმღერით „ზეუჯუბა იტალიელებით.“

* * *

ბაღლილ პარასკევს, 10 ამ თვეს, ტფ. ქალაქის თავმა ქალაქის რჩევას აცნობა სომხების პატრიარქის ბეეორქ მე-IV-ის გარდაცვალება და წაუკითხა იმას ტელეგრამმა, რომელიც დაემზადებინა რჩევის სახელობით ეჩმიაძინში გასაგზავნად. ტელეგრამმაში მოხსენებული იყო, რომ ქალაქის რჩევა გულითად მწუხარებას აცხადებს სრულიად—სომხების პატრიარქის გარდაცვალებაზედ და გარდაწყვიტა, რომ ყველა წევრნი ამ რჩევისა დაესწრონ იმის პანაშვიდზე ვანქის სობოროში.

მართლაც, გუშინწინ, კვირას, ვანქის სობოროში დიდი ძალი ხალხი, სომხობა რუსობა და ქართველობაც დაესწრო ამ პანაშვიდზე.

* * *

ჩვენ გვატყობინებენ ზემო-იმერეთიდამ, რომ ამ მხრის ზოგიერთს სოფლებში ერთი რალაც გვარი წითელი ჭია გაჩენილა და ხეხილებს აფუჭებს საშინლადაო, განსაკუთრებით ვაშლს ეტანებაო. როგორც მცოდნე პირებმა გვითხრეს, ეს ის ჭია უნდა იყოს, რომელისაც ზოოლოგიაში „სისხლოვან ტილს“ ეძახიან.

ამ ჭიის აღწერას და იმის მოსპობის საშუალებას მალე დავბეჭდავთ ჩვენს გაზეთში.

* * *

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ამ თვის 4-ს, შაბათ საღამოს, ხარაზოვის თეატრში იყოო ქართული წარმოდგენა სასარგებლოდ ქუთაისის სომხის სკოლისა. წარმომადგენელნი იყვნენო იმავე სკოლის მასწავლებელნი. ითამაშეს სომხურის ენიდგან ნათარგმნი „ბბრებთ დარიგება“ და „ესეც შენი მოციქულობა“. ეგრეთვე ბ. ბარხუდარიანცმა წაიკითხა რუსულ ენაზედ ურიული ცხოვრებიდან სხვა-და-სხვა სცენები.

„ბოლოს, ნაციონალური ტანისამოსებით შემოსილმა ხუთმა იმღერა რამდენიმე სომხური სიმღერები. წარმოდგენა კარგი იყო და თეატრიც ხალხით სავსე; მაგრამ სომხობა კი ხალხის მცირე რიცხვს შეადგენდა.“

* * *

ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ ახალქალაქის მაზრის უფროსი ბ. დროზდოვი სხვაგან სადღაც გარდაიყვანეს აქედამ სამსახურშიო. ამის თაობაზე ახალქალაქიდამ გვწერენ, რომ როგორც ერთ დროს თელაველებს არ უტირნიათ ამ ბ. დროზდოვის გარდმოყვანა ჩვენში, ისე არც ახლა ჩვენ ეტირით ამის გადაყვანაზედაო, არც ვთხოვთ, კალთებსაც არ ვახვევთო.

* * *

დ. ლაილაშიდამ გვწერენ, რომ, უმაღლეს მთავრობის გარდაწყვეტილების-თანახმად, ლეჩხუმის ყველა სასამართლო ადგილები ამ დღეებში უნდა სოფ. ცაგერში გადაიტანონო.

* * *

ჩვენ შევიტყეთ. რომ ბ. ვ. აბაშიძეს და ქ. მესხს აუღიათ ხელი ქართულ თეატრის ანტრეპრენიორობაზედ,

---

მალორუსიული ენისა ასჯერ უფრო პოლიტიკური იქმნება, ვიდრე სხვა ნაირი“. (Русскій Курьеръ, № 331).

აი აზრი საზოგადო, აზრი მოწინავე საზოგადოებისა იმ ხალხის მიმართულებაზედ!.. მახლას! რა გამოვიდა, რომ საზოგადო აზრი ამ გვარია! მერე ვინ მისცა საზოგადო აზრს, არა თუ გადამწყვეტი, არამედ ისე სახეში მისაღები ხმაც? და ან კი, აბა, როგორ უნდა აჰყვეს კაცი ან საზოგადო აზრს, ან ყველას თხოვნა როგორ უნდა დაკმაყოფილოს! შენც გინდა ენა, შენც, იმასაც, მესამესაც, მეოთხესაც! შენც გინდა ერობა, იმასაც, მეხუთესაც!! სად წავა საქმე! აჰ!

მაგრამ მოდი დავანებოთ ისევ ამ გვარ ლაპარაკს თავი და ვიფიქროთ ისევ მაზედ, რომ, თუ თხოვნას, საზოგადო აზრს და სხვა ამისთანა რალაცებს გასავალი არა აქვს, მაშ რა ქენათ? ბულ-ხელი დავიკრიფოთ და დავსხდეთ? არა, ესეც ძნელია—საჭიროა ახლა სხვა ნაირი თხოვნა.

—

ჩვენში ხშირად გაიგონებ ჩივილს: არა გვყავს ნასწავლი ხალხიო, არა გვყავს ახალ-თაობაო! დიაღ, ნამდვილი ჭეშმარიტებაა, მხოლოდ ცოტა ბნელად გამოთქმული, და აღ ნა სჭირია. შეიხედეთ ყოველ გვარ კანცელარიებში, სასწავლებლებში, რამდენი „ძე“-ები და „შვილები“ დაგხვდებათ, რომელთა შორის ძალიან ბევრს მიულია სწავლა თვით უნიერსიტეტებში, აკადემიებში და სხვ. სწავლულები არ არიან ეს გვამნი, მა რანი არიან? მაგრამ არა! ჩინოვნიკი და სწავლული კაცი ორი ისეთი ზედ მიუკარებელი სიტყვა შეიქნა, რომ ამირანის ჯაჭვითაც ვერ გადაბამ მათ. ბევრი მათგანი კიდეც პატრიოტობენ, შემთხვევის დროს ფულსაც შესწირავენ რომელსამე ქველ-მოქმედ საზოგადოებას, მაგრამ ეს იმას კი არა ნიშნავს, რომ ისინი ამ საუკუნის ძენი იყვნენ, არამედ მას, რომ უნდათ ერთი ხელით ორი საზამთრო აიღონ. იმათ უნდათ, რომ ჩინ-ეპოლეტებიც მიიღონ და ახალი კაცების სახელიც მოიპოვონ; მაგრამ ეს მხოლოდ უნდათ და ვერ კი შესძლებენ ამას. ამის მაგალითები ჩვენ ლიტერატურას ახსოვს. მოიგონე შარშანდელი „სუდია და ნაჩალნიკი“, განათლებული კაცები არიან ისინი? არ ესმით რას ჩადიან?—ძალიან კარგად, მაგრამ როდის რცხვენიანთ. აბა ეს ბატონები არ შედიოდნენ ამ წამპილწავ ატმოსფერაში, თუ ჩვენი საქმე, ჩვენი ლიტერატურა, ჩვენი საზოგადო ცხოვრება ასჯერ ამაზედ წინ არ წასულიყო.

იქნება სთქვა, რა ეჭამათ, რით გამოეკვებათ თავიო? ამაზე კი ვერაფერ პასუხს ვერ გეტყვი...

შენ ეხლა ხარ, დიმიტრი, ჩინოვნიკი, იმიტომ რომ შენ ძალა-უნებურად უნდა აასრულო ისეთი მოვალეობა, რომელიც ეწინააღმდეგება შენს რწმუნებას, (ეს კიდევ არაფერი, ზოგჯერ კაცი ვინ იცის როგორი რწმუნებისაა). ეწინააღმდეგება და უნდა აასრულო, რადგან შენ ხარ მოჯამაგირე, რომელსაც ბატონი გიბძანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან იმდენი შემოსავალი და ლონის-ძიება არ ჰქონიათ, რომ თეატრისა და დასისათვის საჭირო ყველა ხარჯი დაეკმაყოფილებინათ. ამის გამო დასს შეუდგენია ახლა ამხანაგობა და ამ ნაირად, ამხანაგობით ჰსურს თეატრის საქმეების განგება. ამას გარდა დასს განზრახვა აქვს აგრეთვე შეადგინოს საამხანაგო კასსა გაჭირების დროს ერთმანეთის დასახმარებლად.

რაღა თქმა უნდა, რომ ამხანაგობით თეატრის საქმის წაყვანა ძალიან კარგი აზრია, თუ კი მოახერხეს და თანხმობით, ძმურად იქმნებიან ერთმანეთთან.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორას განუზრახავს—და გადაუწყვეტია კიდეც—სიონის სობოროს გაუკეთდეს ახალი იატაკი მარმარილოს ქვისა. ამ საგნისათვის გადუდვიათ ექვსასი თუმანი იმ სმეტის თანახმად, რომელიც არხიტექტორს ჩიქოვს წარუდგენია.

თქმა არ უნდა, რომ ამაზე უკეთესს იატაკს ვერ გაუკეთებდა ჩვენი ახალი ექსარხოსი იმ საქმეს, რომელსაც საქართველოს ეკლესია მოელის მისგან.

„დროების“ კორრესპონდენსია

ქართლიდამ, 2 ქრისტეშობისთვეს. ნება მომეცით ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ იმ ბოროტ-მოქმედებაზედ, რომლებმაც ღრმად გაიკეთა ფესვები არა თუ მარტო დაბალ ხალხში, არამედ უმეტესად იმ ეაჟბატონებში, რომლების ხელშიაც არის ამ უკანასკნელების ბედი და უბედობა. რასაკვირველია კარგად გეხსომებათ თქვენი გაზეთის წყალობით ის მწარედ წასაკითხავი ანბავი სხვა-და-სხვა მაზრის წარმომადგენლობაზედ, რაც ხშირად ისმოდა ქურდობის თაობაზედ. სჩანს ქურდობამ იკლო სხვა უეზდებში, სჩანს მოჰკვეთა ბუნებამ უსამართლო თვისი სასჯელი, რადგანაც კორრესპოდენტები აღარას ამობენ.

ჩვენს პატარა ხალხზედა და პატარა ქართლზე რაღას მიბრძანებთ?... თქვენ როგორა და რაც გნებავდეთ, ისა ბრძანეთ და მეკი ამას მოგახსენებთ, რომ ქართლში ძრიელ გახშირებულია ქურდობა; ქურდობის სითამამემ იქამდის მიაღწია, რომ მცხოვრებნი გარეთ გაურეკია და სოფლები თითონ დაუპყრიათ. მოვიყვან ქვემოდ—ვისრა დაუშავეს და ამათი ცოდვა ზიდოს საუკუნოდ იმან, ვისიც ჯერია და ვინც ავრცელებს ამ უეზდში ამისთანა ბოროტ—მოქმედებას.

არ გახლავთ ჯერეთ ორი კვირა, რაც სოფელ ქარბში ორი საბძელი დასწვეს ერთი აზნაურიშვილისა; გარდა ამისა ამავე აზნაურს მოჰპარეს: ცხენი, ორი ხარი და ერთი ძროხა, ქათამი, ინდოური და ბატები.

მეორე საბძელი გლეხისა. აქვე მამასახლისის თანაშემწე ქაპანაძეს დახვდნენ ამ წარსულს თვეში გზად მიმავალს, სცემეს, წაართვეს ჩოხა სახელმწიფო მენდლით, შემდეგ თუმცა იცნო თავისი მოჩხუბარნი, მაგრამ ვერსად გამოაცხადა, რადგანც ეს მოჩხუბარნი დაემუქრნენ სულ გადაწვას.

ქსუისში მცხოვრებელს ივ. უთნელოვს გადაუწვეს საბძელი, წისქვილი, მოჰპარეს ცხენი. თუმცა საწყალი უცხადებს მთავრობას და უჩვენებს თავის ქურდსა, მაგრამ მთავრობა ყურადღებას არას აქცევს.

აიკლეს მეფერაში მცხოვრებელი გლეხი მუხრაძე, რომლისგანაც 1400 მანეთი გაიტანეს და ნიეთი.

აიკლეს სოფელს ხვითში მცხოვრებელი თ. თაქთაქოვი; სოფელს ბარეჯვარში მცხოვრებელი ქერეი ეანჩავლისა.

ამისთანა უბედურობა არის, ასრე გახშირებულია ცუდ კაცობა მაზრაში, მაგრამ თავის გამომდებელი ჯერ-ჯერობით არავინა სჩანს.

ბამოგვეცვალა ძველი მაზრის უმფროსი და დაგვენიშნა ახალი, თ. ამილახვარი; ყოველმა სულმა გავიხარეთ იმის დანიშნვა და მუდამ ქამს ველით მოუთმენლად; გვაქვს იმედი, რომ იქნება ჩვენი ყოველის მხრით აოხრებული ცხოვრება იმან დაგვიმშვიდოს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ანდაზა: „სინამ პავლე მოვიდა პეტრეს ტყავი გააძრესო“. ეს მაგალითი სწორედ ჩვენზედ გახლავთ. თუ კიდევ პირში სულები შეგვრჩა თ. ამილახვრის მოსვლამდისინ, იქნება გვეშველოს რამე; მაგრამ ამას კი თამამად მოგახსენებთ, რომ თუმცა სულები შეგვრჩება, საბძლები, წისქვილები, ბოსლები და საქონელი კი აღარ მგონია...

სოფრონი ნაზირიშვილი.

ბატ. „ნარი“, მისი ბანკი და მისი ლოღიკა.

ბ. „ნარის“ გაჭიანურებულ სტატიაზე „შრომის“ № 46-ში, რომელიც ეხება ჩემს წერილს ჯიხაიშის ბანკზედ, და, რომელიც, ვითომ, არ-ღვევს ჩემგან გამოთქმულ დედა-აზრს.

მე კრიტსაც არ დავეძრავდი ბ. „ნარის“ სტატიაზე, მაგრამ, რადგანაც დიდიხანია უსაფუძლოდ და ტყუილუბრალოდ შორიდგან კბენა დაუწყო იმან ჩვენ ბანკს და სკოლას და მეშინიან, ამითი საქმე არ შეფერხდეს, ამისთვის ვკიდებ კალამს ხელს.

შარშან „შრომაში“ დალაგებით აწერილი იყო ჯიხაიშის ბანკის და სკოლის საქმე, მათი ბედი და იღბალი; მოხსენებული იყო ზოგიერთა პირების ბოროტი მოქმედობა, რაც იმათ ჯიხაიშის ბანკს და სკოლას გაუწიეს. მთელი ჯიხაიშის მცხოვრებლები შეაწუხა იმ პირების მოქმედებამ. სხვა თაშორის იმ პირებმა წარმოადგინეს საბუთად, რომ სასაფლაოს ახლო სასკოლო და საბანკო სახლის აშენება არ შეიძლებაო. ამ საქმეზე ადგილობრიები პრისტავი იყო ჯიხაიშში. აი, იმ პირებს ვეძახდით სოფლის მავნებელ პირებს, მაგრამ ბ. ნარს არ ჰსურს მათი გამომჟღავნება.

ბ. ნარს ამოუწერია ჩვენი სტატიიდგან ერთი ადგილი, სადაც ვამბობდი, რომ ჯიხაიშის ამხანაგობას არა თუ მარტო ის ჰსურს, რომ ერთს საზოგადოებაში გაავრცელოს თავის მოქმედება, არამედ სხვა საზოგადოებაშიაც. ბ. ნარი განცვიფრებაში მოდის, თუმცა აქ მკითხველი ვერ ჰხედავს ვერაფერს გასაცვიფრებელს. ნუ თუ ბ. ნარმა არ იცის, რომ ჯიხაიშის ბანკს ჰყავს ამხანაგად დიდი-ჯიხაშლებიც, ზალეკუთხლებიც, სულ სხვა-და-სხვა საზოგადოების სოფლები?

ბ. „ნარი“ უქადდა და გადაწყვეტილად დიდის სიამოვნებით უწინასწარმეტყველებდა, რომ ჯიხაიშის ბანკს ადრე თუ მალე დაღუპვა მოელისო... ახლა კი ღვთის მადლით გამოგიცვლიათ აზრი ჩვენს ბანკზედ.

წინა წერილშიაც გამოვსთქვით ჩვენი სურვილი, რომ სვენი მეზობლები ჩვენივე ბანკის წევრებად ყოფილიყვნენ, და არა—იმათვის დაგვისაკუთრებია ჩვენი ბანკი, გამოვთქვით ის, რის თქმაც გვსურდა. მინც რა უნდა თქვას, ჩვენ მაინც წესდების ძალას ვადგვართ, გვსურს ისე მოვიქცეთ, როგორც წესდების მუხლებში სწერია. ჩვენ იმ წესდებას ვასრულებთ, რომელიც დამტკიცებულია ფინანსთ მინისტრისაგან და ის მუხლი გვინდა სისრულეში მოვიყვანოთ, სადაც აი რა სწერია: „**лучше всего опредѣлять кругъ дѣйствія товарищества мѣстною и сосѣдными волостями, въ дѣйствительности же принимать въ члены жителей тѣхъ селеній, которыя отстоятъ, отъ товарищества не далѣе 20 верстъ**“.

ჯისაიშელი.

ტერმინები

მიღებულნი მეორე სხდომაზედ.

არითმეტიკა.

მეორე სხდომა მოხდა იმავე ქალაქის რჩევის დარბაზში 20 გიორგობისთვეს.

სხდომის გახსნისათანავე წაკითხულ იქმნა ბ. ლულაძისაგან განაჩენი წინანდელი სხდომისა, რომელიც ზოგიერთი შენიშვნებისა გამო მეორედ გადაისწორა. შემდეგ ამისა კრებამ გადათვალიერა პირველ სხდომაზედ შემუშავებული ტერმინები და პირველი სხდომიდამ დატოვებულის ტერმინის—**единица**-სათვის წარმოდგენილი სიტყვებიდამ ამოარჩია—ცალი. ამის შემდეგ კრება ახალის ტერმინების განხილვას შეუდგა.

Уменьшаемое—წარმოდგენილ იქმნა სიტყვები: დასაკლები, მოსაკლები; მიღებულ იქმნა მოსაკლები.

Вычитаемое—წარმ. იქმნა: გამოსათვლელი, გამოსაკლები; მიღებულ იქმნა—გამოსათვლელი.

Разность—წარმ. იქმნა: ნამეტური, ტოლ-მეტობა, მეტ-ნაკლებობა; მიღებ.—ნამეტური.

Остатокъ—წარმ. და მიღებულ—ნაშთი.

Повѣрка—შემოწმება.

Скобки—ფრჩხილები.

Измѣненіе—ცვალება.

Множимое—წარმ. იქმნა: გასამრავლებელი, სამრავლებელი, სამრავლი; მიღებულ—სამრავლი.

Множитель—წარმ. იქმნა: გამამრავლებელი, მამრავლებელი, მამრავლი. მომრავლე; მიღებ.—მომრავლე.

Произведеніе—წარმ. იქმნა: ნამრავლი, ნაწარმოები; მიღებულ—ნამრავლი.

Производители—მომრავლენი.

Таблица—წარმ. იქმნა: სქემა, ტაბულა; მიღებულ—სქემა.

Степень—წარმ. იქმნა: ხარისხი, ალმატება; მიღებულ—ალმატება.

Показатель степени—მაჩვენებელი ალმატებისა.

Дѣлимое—გასაყოფი.

Дѣлитель—გამყოფი.

Частное—წარმ. იქმნა: ნაყოფი, განაყოფი; მიღებულ—განაყოფი.

Увеличится—იმატებს.

Уменьшится—იკლებს.

Составной—შედგენილი.

Величина—წარმ. იქმნა: სიდიდე, რაოდენობა, ზომიერება, ოდენობა, ერცელობა; მიღებულ—ზომიერება.

მიღებულნი მესამე სხდომაზედ.

2 ქრისტეშობისთვეს იყო მესამე სხდომა ქართულ სამეცნიერო ტერმინების შესამუშავებლად.

Выраженіе—წარმოდგენილ იქმნა: გამოხატვა, ნასახი, გამონასახი, წარმოდგინება, წინადადება, გამორკვევა, დასახულება; კრებამ არც ერთი არ მიიღო, მხოლოდ უპირატესობა მისცა: ნასახს და წინადადებას.

Составное—წარ. და მიღებ. იქმნა—შედგენილი.

Величина—წარ. იქ.—სიდიდე, რაოდენობა, ზომიერება, ოდენობა, ერცელობა; მიღებულ—ზომიერება.

Мѣра—წარ. იქ.: ზომა, საზომი, ზომვა; მიღებულ—ზომა.

Мѣра длины—წარ.: ზომა სიგრძისა, ზ.—მანძილისა, მიღ.—ზომა სიგრძისა.

Поверхность—წარ.: ზედა-პირი, ზენა-პირი; მიღ.—ზედა-პირი.

Площадь—წარ. და მიღ.—სივრცე.

Плоскость—წარ. და მიღ.—სიბრტყე.

Раздробленіе—წერილება, დაშლა, დანაწილება, დაწერილმანება; მიღ.: დაშლა.

Превращеніе—წარ.: გარდაქცევა, შეერთება, შედგენა, აწყობა, შემოკლება, შეკუმშვა; კრებამ არც ერთი არ მოიწონა და გადადო შემდეგის სხდომისთვის.

სხდომა გათავდა ღამის 11 საათზედ.

ტფილისის სამკურნალო.

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ორშაბათს. გარავდევიჩი და ლიტვინი—შინაგან ავადმყოფობისა; კედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი—სირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; ბელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავადმყოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავადმყოფობისა; ბელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის ქალების და უმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავადმყოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; ბელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავადმყოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი—სირურგიული ავადმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავადმყოფობისა; ბელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავადმყოფობისა.

შაბათს. ლისიცევი—შინაგან ავადმყოფობისა; ბელდიში—სიფილისტიკური და სირურგიული ავადმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და უმაწვილების ავადმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. ს სუსტის ავადმყოფობისა.

განცხადებანი

გაიტანა **იჯარით** მამული თელავის მაზრაში ს. **ყვარელში.** საიჯარო მამულს შეადგენს: სამი დიდი ვენახები, სახნავ-სათესი და სამოვარი ადგილები, ტუე და ორ თვალიანი წისქვილი. არის აგრეთვე სახლი, ძარანი და ყოველი საოჯახო შენობები და მოწყობილობანი. მსურველს დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეუძლიან ელისაბედ **სოლომონის** ასულის მარჯანოვისაგან ქ. ტფილისში გოლოვინის პროსპექტზე მირზოევის სახლებში ფოჩტის სტანციის პირდაპირ № 44. (20—1)

განცხადება.

ტფილისის პურის-ეაჭრებს ეაცნობებ, რომ ტფილისიდამ 30 ვერსზედ ჩემ. მამულს **კოტიშში** გაემართე ამერიკის სისტემის ხუთ-თვლიანი წისქვილი და მუშაობს.

ამ წისქვილში საფქვავად მიეიღებ მანნისა და პერლოვის კრუპას, პირველ, მეორე და მესამე სორტის ხორბალს და სხვ.

დაწვრილებით პირობის შესატყობად მსურველს შეუძლია მიმართოს თ. დავით ზაალის-ძეს ბარათოვს.

ფირმა არის თავდები, რომ ეს წისქვილი რუსეთიდამ მოტანილ ფქვილზე უარესად არ დაფქვავს, თუ პურისეაჭრები შესაფერ ხორბალსა და კრუპას მოიტანენ.

ამ წისქვილზე წელიწადში ა-ოცი ათას ფუთის ხორბლის დაფქვა შეიძლება და თუ საჭირო იქნება, შეიძლება ორას-ათას ფუთამდინაც დაეფქვევინო.

მსურველს არენდით (იჯარითაც) მივცემ წისქვილს. (3—1)

ახალი ქართული

ქარაგაღინი

იყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; **ქუთაისში:** მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ერთი მანეთი.

დაიბეჭდა და იყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში:

თამარ დედოფალი

შედგენილი

ჯ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

ეძიმი—ბეგია

ნ. დ. გავროლნსკი

გადავიდა ახალს სახლ. ზუბალოვისა ერევნის მოედ. და სასახლის ქუჩის კუთხეში. შესავალი ერევნის მოედანით.

ილებს ავად-მყოფებს განსაკუთრებით **დედაცთა და გავშვების** სატკივრებით მუდამ დღე, უქმეებს გარდა, დილის 9 საათ. 11-მდის. (10—5)

დაიკარგა ძაღლი, პუნტერი თეთრი გულით.

მნახველს ვთხოვთ წარმოადგინოს „**დროებისა**“ რედაქციაში რითიც მიიღებს რიგიან ჯილდოს. (5—5)

ვ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში ტფილისში (ბოლოვინის პროსპექტზე ალექსანდროვის ბაღთან საკუთარს პავილიონში).

მიიღება ხელის მოწერა

1883 წლისა

ყოველ გვარ ჟურნალებზედ და გაზეთებზე ადგილობრივ, რუსულ და სამზღვარ გარეთებზედ ც. (20—12)

დაიბეჭდა და იყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

ინგლისის

მაღაზია

Maison de confiance

| შედარებთ ნაკლნი ნაი—1 ფ. 10 კ. | | |